დადგენილება №30/2020 ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად დაფარვის შესახებ

დადგენილება №30/2020, 31 ივნისი, 2020

დადგენილება №30/2020 ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად დაფარვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 31 ივნისის N19 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამოიყოს სტუდენტური თვითმმართველობიდან - 21740 (ოცდაერთი ათას შვიდას ორმოცი) ლარი და კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან - 12500 (თორმეტი ათას ხუთასი) ლარი დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად დასაფარად.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე